



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 70

02/07/2018

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ივლისის თვის მორიგი სხდომის
მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26–ე მუხლის პირველი ნაწილისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად **ვბრძანებ**:

მუხლი 1. მოწვეულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ივლისის თვის მორიგი სხდომა 2018 წლის 2 ივლისს 11:00 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ივლისის
საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი:**

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში “ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: /პ.გოგიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშემე მერქნის ნატურით - უსასყიდლოდ გადაცემის 2018 – 2019 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ

მომხს./ა. ქურციკიძე/

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სახლდაზიანებულ პირთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №46 26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხს: /კ.ამაშუკელი/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 ივნისის N45/3689 წერილი, ბალების გადაცემის საკითხი)

მომხს: /გ.ლილუაშვილი/
თანამომხს./გ. რობაქიძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

მომხს: /იმედა რობაქიძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

მომხს: /იმედა რობაქიძე/

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 6 თვის ანგარიში.

მომხს./ნ. ჯანელიძე/

მუხლი 2. დაევალოს საკრებულოს აპარატს საკრებულოს წევრთა ინფორმირება საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ, სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის თაობაზე.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო